განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

კავკასიამცოდნეობა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

9-18.11.2017წ.

21 ნოემბერი, 2017წ.

თბილისი

2017

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | **211349192** |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | კავკასიამცოდნეობა |
| განათლებისსაფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელიკვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | კავკასიური კვლევების მაგისტრი 110406 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტებისრაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | ახალი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ერეკლე ასტახიშვილი. თავისუფალი უნივერსიტეტი. საქართველო. |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ფიქრია ასანიშვილი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თინათინ გაბრიჩიძე. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი. საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციისექსპერტთაჯგუფისშემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და მდებარეობს თბილისში (მერაბ კოსტავას 77, 0175, თბილისი, საქართველო). სწავლების ენა ქართულია. პროგრამის დანერგვის ძირითადი საფუძველია კავკასიამცოდნეობის დარგში კვალიფიციური კადრების დეფიციტი, რასაც მოწმობს შრომის ბაზრის კვლევა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა2017 წლის 8 ნოემბერს. ვიზიტამდე წინა დღეს 7 ნოემბერს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი 19 საათზე და 22 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეს ინტერვიურების პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

8 ნოემბერს აღნიშნულ დაწესებულებაში  ვიზიტის ფარგლებში 9 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამა ნაწილობრივ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა. უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია რეგულაცია უნივერსიტეტის პროგრამებზე დაშვების წინაპირობებზე. საბაკალავრო განათლების დამადასტურებელი დიპლომი და ერთიანი სამაგისტრო ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება განაპირობებს შესაბამისი უნარების მქონე სტუდენტთა პროგრამაში ჩართვას.

სწავლის შედეგები ორიენტირებულიაშრომის ბაზრის მიერ მოთხოვნად, დეფიციტური სპეციალისტის-კავკასიამცოდნის მომზადებაზე. დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს როგორც სახელმწიფო, ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელ ორგანიზაციებთან, რაც კარგ საფუძველს ქმნის კურსდამთავრებულთა მომავალი დასაქმების მიმართულებით.

უნივერსიტეტის სტუდენტები იღებენ აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად.დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია სასწავლო პროცესის, პროგრამების და აქტივობების შესახებ.ამავე დროს, სასურველია დაწესებულების აკადემიურიპერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებული სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა აისახოს სილაბუსებში კონკრეტული დღეებისა და საათების მითითებით. სურვილის შემთხვევაში, თითოეულ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, წინასწარი შეთანხმებით, შეხვდეს აკადემიურ პერსონალს და გაიაროს კონსულტაცია.დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტების ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში და ასევე, სხვადასხვა კვლევით პროექტში. პროგრამა ითვალისწინებს სასწავლო პრაქტიკას სპეციალობაში. უნივერსიტეტი ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე. ამავე დროს, სასურველია პროგრამის მესვეურთა ზრუნვა მომავალი მაგისტრების განათლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის გაზრდაზე.

უნივერსიტეტს გააჩნია აკადემიური პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების აკადემიური პერსონალით. აკადემიური პერსონალი შერჩეულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამის წარმატებულად განხორციელებას უზრუნველყოფს ფაკულტეტის ადმინისტრაცია. სასწავლო კურსის მიწოდება ხდება სილაბუსის მიხედვით, რომელშიც მითითებულია სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა. აღსანიშნავია, რომ ლიტერატურა ძირითადად ქართულენოვანია, არის ასევე რუსულენოვანი ლიტერატურა და ძალიან ცოტაა ლიტერატურა დასავლეთ ევროპულ ენებზე,რაც სტუდენტს არ მისცემს საშუალებას მიაღწიოს სწავლის შედეგებს.ასევე, ზოგიერთი დისციპლინის სილაბუსში აღნიშნულია მოძველებული ლიტერატურა.

- **რეკომენდაციები**

1. თანამედროვე და დარგის საუკეთესო ლიტერატურდ აღიარებული საკითხავი მასალების მითითება და აქტიური გამოყენება სასწავლო კურსებში;

2. ინგლისურენოვანი/უცხო ენოვანი ლიტერატურის მოცულობის გაზრდა საკითხავ ლიტერატურაში. დამატებით საკითხავ მასალაში მაინც. მით უმეტეს, რომ სამაგისტრო პროგრამაში B2 დონეზე უცხო ენის ცოდნა სტუდენტისთვის აუცილებელია, და ეს უნარი გამოყენებული უნდა იქნეს სწავლების პროცესში. ლიტერატურაგაჯერებულია ქართულენოვანი მასალის სიმრავლით. შესაბამისად, გაუგებარია რა ფუნქციას ასრულებს პროგრამისთვის უცხო ენის ცოდნა.

3. პროგრამაში სავალდებულო საგნად დაემატოს სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდების კურსი, რათა სტუდენტმა გაიგოს რა არის ჰიპოთეზა, როგორ უნდა შეარჩიოს საკლვევი კითხვა, ცვლადების ოპერაციონალიზაცია და ა.შ. ანუ შეიძინოს ის საბაზისო ცოდნა, რაც კვლევითი მუშაობისთვის არის საჭირო და შეძლოს კვლევითი კომპონენტის წარმატებით დაძლევა.

4. სასწავლო ლიტერატურის განახლება. თანამედროვე ქართული და უცხოენოვანი სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ლიტერატურით და არა მარტო რუსულენოვანი მასალის ჩართვა სასწავლო პროცესში და ასახვა სილაბუსებში.პირველადი წყაროების აქტიური გამოყენება სასწავლო პროცესში და ასახვა სილაბუსებში.

5. კონკრეტული სასწავლო კურსების მიზნების შესაბამისი სწავლების მეთოდებისა და შედეგების განსაზღვრა.

6. ელექტრონული რესურსების აქტიური გამოყენება.

7. არჩევითი საგნების რაოდენობის გაზრდა.

8. უფრო რეალისტური გახდეს საათობრივი დატვირთის გადანაწილებისა და სტუდენტის  დმოუკიდებლად მუშაობის სქემა და ერთ სტანდარტულ შაბლონს არ მიყვებოდეს. 87 საათი სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობისთვის ძალიან ბევრია, სტუდენტს ზოგიერთი საგნის ათვისებისთვის შესაძლოა  პროფესორთან კონტაქტის უფრო მეტი დრო სჭირდებოდეს.

9. სტუდენტების ინფორმირების მიზნით, სასწავლო პროგრამის თითოეულ სილაბუსში უნდა იყოს მითითებული ლექტორთან შეხვედრის/ ინდივიდუალური მუშაობისთვის გამოყოფილი კონკრეტული დრო.

10. საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდა.

## ▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის აღწერაში უნდა აღინიშნოს, რომ კურსი თავისი ხასიათით ინტერდისციპლინურია
- სასურველიასილაბუსებში მითითებული იყოს ლიტერატურა თემების მიხედვით. რომ სტუდენტმა უფრო კარგად გაიგოს ამა თუ იმ თემატიკასთან რა ლიტერატურა აქვს წასაკითხი. თორემ  იმ სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალიდან, რაც კურსებშია აღნიშნული, სტუდენტს გაუჭირდება ორიენტირება თუ რომელი წიგნი თუ სტატია  წაიკითხოს კონკრეტულ სალექციო  თემასთან მიმართებაში. რთული გასარკვევია რამდენად ფარავს თემატიკას მითითებული ლიტერატურა
- სასურველია ერთ-ერთ არჩევით საგნად დაემატოს კავკასიის ხალხთა ისტორიის კურსი
- კავკასიისმცოდნეობაზე ორიენტირებულ უნივერსიტეტებთან თანამშრობლობა. მათ შორის ჩრდილო კავკასიისა და სამხრეთ კავკასიის უნივერსიტეტებთან ჩართულობა და კონტაქტები
- სტუ-სთან არსებული რეგიონალური კვლევების ცენტრისრესურსების აქტიური ჩართულობა პროგრამაში.
- აკადემიური პერსონალის მეტი აქტიურობა პროგრამის რელევანტური სამეცნიერო სტატიების მომზადებისა და დაბეჭდვის მხრივ როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ გამოცემებში.

**▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა

| 1.1პროგრამისმიზნებიშეესაბამებადაწესებულებისმისიას, ნათლადარისჩამოყალიბებული, ორიენტირებულიადასაქმებისბაზარზედამიღწევადია |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**<br><br>კურსის მიზანია „მოამზადოს კავკასიის რეგიონის სპეციალისტები, რომლებიც რეგიონის ტრადიციების, ფუნქციისა და პერსპექტივების გათვალიწინებით შეძლებენ რელიგიისა და ეთნოკულტურული ფაქტორების როლის განსაზღვრას კავკასიის ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში; პროფესიონალების, რომლებიც საკუთარი პროფესიის სტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინებით **„მომლაპარაკებელ-დიპლომატების“** სახით ჩაერთვებიან კონფლიქტურ, სასაზღვრო, ენერგეტიკულ თუ სხვა კონკრეტულ თემაზე მიმდინარე პროცესებში; მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო ისტორიაში კავკასიური ცივილიზაციის როლის გარკვევასა და მსოფლიოს თანამედროვე გეოპოლიტიკურ რუკაზე კავკასიის ადგილის განსაზღვრაში.“ თუმცა ის კურსები, რაც პროგრამითაა გათვალისწინებული მარტო კავკასიის რეგიონის სასაზღვრო, ენერგეტიკული თუ კონფლიქტური თემების შესწავლას არ გულისხმობს, და მოიცავს ისეთ კურსებს, როგორიცაა პოლემიკური ოსტატობა, ბიზნესკომუნიკაცია, დარგობრივი ტექსტის თარგმანი და ა.შ. ამიტომ სასურველია პროგრამის აღწერაში მითითებული იყოს, რომ იგი თავისი ხასიათითინტერდისიპლინურია.<br><br>გარდა ამისა, კითხვის ნიშანს აჩენს რამდენადშესძლებს ეს პროგრამა დასახული მიზნების შესრულებას და სასურველ შედეგამდე გასვლას, მისი სასწავლო სალექციო კურსებისა და მასში მითითებული ლიტერატურის გათვალისწინებით, მით უფრო რომ მომპლაპარაკებელ-დიპლომატების აღასზრდელად პირველ რიგში საჭიროა ისეთი კურსების სწავლება, რომელიც დიპლომატიასთან და მოლაპარაკებებთან კავშირშია. კურიკულუმში არც დიპლომატიის საფუძვლები ისწავლება, (ეკონომიკურ დიპლომატია და კავკასიას თუ არ ჩავთლით, რომლის მიზანიც თანამედროვე სახელმწიფოების საგარეო ეკონომიკური დიპლომატიის ტრანსფორმაციის ძირითადი ფაქტორების შესწავლა; ტრანსკავკასიურ ეკონომიკურ პროექტებში კავკასიის რეგიონის დიპლომატიური ჩართულობის განსაზღვრა და გლობალიზებული ეკონომიკის ორდონიანი ეკონომიკური დიპლომატიის სწავლებაა)<br>და არც მოლაპარაკების ფორმები და სტრატეგიები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასება<br>○ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა |

| |
|---|
| ○ შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან<br>○ შეხვედრა დამსაქმებლებთან |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ კურსის მიზნებთან შესაბამისი სასწავლო საგნების დანერგვა კურიკულუმში. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ პროგრამის აღწერაშიაღნიშნულ უნდა იქნეს, რომ კურსითავისი ხასიათით ინტერდისციპლინურია. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

| |
|---|
| 1.2პროგრამისკომპონენტის (სასწავლოკურსი, მოდულიდასხვა) შინაარსი, სწავლებისმეთოდებისადაკრედიტებისმოცულობისგათვალისწინებით, უზრუნველყოფსამკომპონენტითდასახულიმიზნებისადასწავლისშედეგებისმიღწევას |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**<br>სამაგისტრო პროგრამის მიხედვით, კვლევითი კომპონენტი აუცილებელი პირობაა პროგრამის დასრულებისთვის, რომელიც 45 კრედიტს მოიცავს. კვლევითი კომპონენტია სამაგისტრო კვლევის პროექტი/ პროსპექტუსი-5 კრედიტი, თეორიული ექსპერიმენტული კვლევა 10 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტი.თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ საგანი კვლევის მეთოდები საერთოდ არ არის პროგრამაში და არ ისწავლება, გაუგებარია როგორ ელოდებიან მაგისტრანტისგან სრულყოფილი კვლევის ჩატარებას. გამოდის რომ სტუდენტს საბაზისო ცოდნა კვლევის მეთოდოლოგიაში არ აქვს და შესაბამისად კვლევის ჩატარებაც იმ სამაგისტრო სტანდარტების დაცვით, რაც პროგრამის თვითშეფასებაშია აღწერილი,მიუღწევადია.<br>კითხვის ნიშნები გააჩინა თავად სილაბუსებში გამოყენებულმა სწავლის მეთოდებისა და შეფასების რელევანტურობამ კონკრეტულ საგანთან მიმართებაში. მაგალითად, კომისიის ყველა წევრს კითხვა |

| |
|---|
| დაგვებადა კურსთან „ პოლემიკური ოსტატობა“ სადაც გამოცდები  დახურული და ღია კითხვებით ფასდება და ცოტა ბუნდოვანება დატოვა, როგორ უნდა შევაფასოთ პოლემიკის წარმართვა მარტო წერილობითი გამოცდით. ამიტომ განცდა გაგვიჩდა, რომ სწავლების მეთოდები, ისევე, როგორც შეფასების მეთოდები ზოგად შაბლონს მიყვება და არ ითვალისწინებს საგნის სპეციფიკას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასება<br>○ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა<br>○ სილაბუსები |
| **რეკომენდაციები:**<br>• სტუდენტს უნდა ასწავლონ  სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდების კურსი, თვისებრივი კვლევის მეთოდები მაინც, რომ სტუდენტმა გაიგოს რა არის ჰიპოთეზა, როგორ უნდა შეარჩიოს საკლვევი კითხვა, ცვლადების ოპერაციონალიზაცია და ა.შ. ანუ შეიძინოს ის საბაზისო ცოდნა, რაც კვლევითი მუშაობისთვის არის საჭირო.<br>• უფრო რეალისტური გახდეს საგნის  შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემა. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>**☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |
| 1.3 პროგრამისკომპონენტებისერთობლიობაუზრუნველყოფსპროგრამითდასახულიმიზნებ ისადასწავლისშედეგებისმიღწევასუმაღლესიგანათლებისკვალიფიკაციათაჩარჩოსშესაბ |

ამისისაფეხურისაღმწერისსათანადოდონით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 27 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათებიც. პროგრამა გრძელდება 2 წელი ( 4 სემესტრი) და 120 კრედიტიანია.

სწავლის მეთოდები დამოსალოდნელი შედეგები ძირითადად ემთხვევა მიღებულ სტანდარტებს. პროგრამა იძლევა საშუალებას, რომ სტუდენტს შეუქმნას ცოდნა კავკასიის რეგიონზე. გააცნოს რეგიონის კულტურა, გეოგრაფია, ტრადიციები, ეთნოპოლტიკა და კონფლიქტები, მაგრამ სასწავლო პროგრამისა და სილაბუსების საფუძვლიანი გაცნობის შემდეგ გაგვიჩდარამოდენიმე კითხვა, რომელიც სწავლების პროცესთანაა დაკავშირბული. სამწუხაროდ პროგრამაში ჩართულ ყველა აკადემიურ პერსონალთან გასაუბრება ვერ მოხერხდა, ინტერვიუზე მხოლოდ 3 პროფესორი იყო წარმოდგენილი, ამიტომ ჩვენი კითხვების უმრავლესობა პროგრამის ხელმძღვანელს დავუსვით, თუმცა, რამოდენიმესილაბუსის მიმართ კითხვები პასუხგაუცემელი დარჩა.

პირველად ჩვენი ყურადღება მიიპყრო არჩევითი საგნების სიმცირემ, სულ 2 არჩევითი საგანი, რაც პროგრამაში ჩართულ სტუდენტებს არჩევანის საშუალებას უზღუდავს.

უცხოენოვანი ლიტრატურისა და თანამედროვე ქართულენოვანი ლიტერატურის სიმცირე. თუ არის რაიმე ლიტერატურა უცხო ენაზე, უმეტესად რუსულ ენაზეა ან რუსულიდანაა ნათარგმნი. მართალია რუსულ ენოვანი ლიტერატურა ძირითადად დამხმარე ლიტერატურადაა გამოყენებული, მაგრამ ამ კატეგორიაში ფრანგულ ენოვანი, ინგლისურ ენოვანი ან გერმანულ ენოვანი ლიტერარტურა საერთოდ არ ფიგურირებს, გამოდის, რომ თუ სტუდენტი რომელიმე დასავლურ ევროპულ ენას ფლობს, მას ეზღუდება ამ ენაზე ლიტერატურის გაცნობა. ამასთანავე პროგრამაში არსად არაა აღნიშნული, რომ სტუდენტებისთვის რუსული ენის ცოდნა პროგრამაზე მიღების წინაპირობაა. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში წერია, რომ დაშვების წინაპირობაა **უცხოური ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს B2 დონეზე ფლობის დადასტურება ბაკალავრიატში სწავლის დროს უცხოური ენის ცოდნაში მიღებული აკადემიური მოსწრების შედეგებით ან სათანადო ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო აღიარების სერთიფიკატით.**

ამიტომ გაუგებარია, 1. როგორ უნდა შეძლონ სტუდენტებმა რუსულ ენოვანი ლიტერატურის დამუშავება თუნდაც დამხმარე საკითხავი მასალის სახით, თუ ისინი პროგრამაზე არა რუსული ენის ცოდნით მოხვდნენ?. 2. თუკი პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა რომელიმე უცხო ენის ცოდნა ( ინგლისური, გერმანული, ფრანგული) რატომ არ უნდა იყვეს სილაბუსებში ამ ენებზე არსებული ლიტერატურა მითითებული, თუნდაც დამხმარე ლიტერატურის სახით?

ზოგიერთ სილაბუსში (მაგ, რელიგიის ისტორია და კავკასიაში გავრცელებულირელიგიები) ძირითადი ლიტერატურის სიაში 1950 წელს გამოცემული ნიკოლსკის წიგნი რელიგიის წარმოშობაა მითითებული. კითხვის ნიშანი გააჩინა კურსმა „ საერთაშორისო სამართალის

აქტუალური პრობლემები“ სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია საერთაშორისო სამართალი კ. გასანოვის, ი. კუზნეცოვის, დ. ნიკონოვის, რ. კალმაკარიანის, დ. შალიაგინის ავტორობით, მაშინ როცა ლევან ალექსიძის წიგნი სერთაშორისო სამართალი მითითებული არ არის.

არ მიგვაჩნია სასწავლო რესურსად ვიკიპედიის მითითება მიზანშეწონილად. ძალიან იოლია საიტი ჰაკერების სამიზნე გახდეს და იქ განთავსებული ინფორმაცია სხვა ინფორმაციით შეიცვალოს.

ასევე საჭიროა, რომ ლიტერატურის ჩამონათვალში ელექტრონული რესურსებიც იქნეს მითითებული. სილაბუსების უმეტეს ნაწილში საერთოდ არ ფიგურირებს ელექტრონული ლიტერატურა, არადა ინტერნეტში უამრავი საინტერსო წიგნი და სტატიაა განთავსებული, რომელიც შეიძლება ძალიან სასარგებლო აღმოჩნდეს ამა თუ იმ საგნისა და საკითხის შესასწავლად.

ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია წასაკითხი ლიტერატურის მითითება სილაბუსში აღნიშნული თემატიკის გასწვრივ. იმ სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალიდან, რაც სილაბუსებშია აღნიშნული, რთულია ორიენტირება თუ რომელ სალექციო თემასთან, რომელი წიგნი თუ სტატიაასტუდენტისთვის წასაკითხი და რამდენად ფარავს რეალურად ეს მასალა თემაში მოცემულ საკითხს.

ვფიქრობთ კავკასიის მცოდნეობის სპეციალისტებისთვის აგრეთვე სასურველი იქნება კავკსიის ხალხთა ისტორიის კურსის დანერგვა. ეს კურსი უფრო ნათელ წარმოდგენას შეუქმნის სტუდენტებს იმ ისტორიული, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პროცესების აღქმაზე, რომელიც საუკუნეების მანძილძე ჩამოყალიბდა და არსებობდა კავკასიის რეგიონში, მით უფრო რომ ზოგიერთი ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების გამოძახილია დღევანდელი კავკსიის რეგიონის პრობლემებიც, ამიტომ უპრიანი იქნება კავკასიის ხალხთა კულტურა და ტრადიციებთან ერთად ისწავლებოდეს კავკასიის ხალხთა ისტორიის კურსიც.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არსებული ხარვეზები სტუდენტს ვერ გაიყვანს პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგზე სრულყოფილად, რადგან თანამედროვე უცხოენოვანი ( არა რუსულ ენოვანი) ლიტერატურის არ არსებობა, რიგ შემთხვევაში მოძველებული ლიტურატურით მასალის მიწოდება, ელექტრონული რესურსების სიმწირე, ნაკლებად შესაძლებელს ხდის სტუდენტის თანამედროვე ცოდნით აღჭურვის შესაძლებლობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასება
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები

- ინტერვიუ პროფესორებთან

**რეკომენდაციები:**

- თანამედროვე, და დარგის საუკეთესო ლიტერატურად აღიარებული საკითხავი მასალების, აგრეთვე პირველწყაროების მითითება და აქტიური გამოყენება სასწავლო კურსებში
- ინგლისურენოვანი/უცხო ენოვანი ლიტერატურის მოცულობის გაზრდა საკითხავ ლიტერატურაში. დამატებით საკითხავ მასალაში მაინც. მით უმეტეს, რომ სამაგისტრო პროგრამაში B2 დონეზე უცხო ენის ცოდნა სტუდენტისთვის აუცილებელია, და ეს უნარი გამოყენებული უნდა იქნეს სწავლების პროცესში. ლიტერატურა იმდენად გაჯერებულია ქართულენოვანი მასალის სიმრავლით, რომ გაუგებარია რა ფუნქციას ასრულებს პროგრამისთვის უცხო ენის ცოდნა.
- სასწავლო ლიტერატურის განახლება. უცხოენოვანი, და არა მარტო რუსულენოვანი მასალისჩართვა სასწავლო პროცესში.
- გამოყენებულ იქნეს ელქტრონული რესურსებიც.
- დაემატოს არჩევითი საგნების რაოდენობა

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველიასილაბუსებში მითითებული იყოს ლიტერატურა თემების მიხედვით. რომ სტუდენტმა უფრო კარგად გაიგოს ამა თუ იმ თემატიკასთან რა ლიტერატურა აქვს წასაკითხი. თორემ იმ სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალიდან, რაც კურსებშია აღნიშნული, სტუდენტს გაუჭირდება ორიენტირება თუ რომელი წიგნი თუ სტატია წაიკითხოს კონკრეტულ სალექციო თემასთან მიმართებაში.
- სასურველია დაემატოს კავკასიის ხალხთა ისტორიის კურსიც.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

1.4 პროგრამისსწავლისშედეგებიუზრუნველყოფსკურსდამთავრებულთაკონკურენტუნარიანობასსაგანმანათლებლო (განათლებისშემდგომსაფეხურზე) დადასაქმებისბაზარზე

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი |
| --- |
| დამსაქმებლებთან ინტერვიუმ(კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი (დირექტორი ნინო ციხისთავი), კავკასიური სახლი (დირექტორი გიორგი კანაშვილი), პარლამენტის მიგრაციისა და კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის კომიტეტი (თავმჯდომარე ზვიად კვაჭანტირაძე), საქართველოს გეოსტრატეგიული და ევროატლანტიკური კვლევების ინსტიტუტი (დირექტორი ვახტანგ მაისაია), კავკასიოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტი (დირექტორი ცირა ბარამიძე), რეგიონალური კვლევების ცენტრი(დირექტორი მამუკა არეშიძე) ცხადყო, რომ მათი მოლოდინები კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობისა და მოთხოვნების კუთხით სრულად არ მოდის შესაბამისობაში პროგრამით წარმოდგენილ სასწავლო მასალასთან და ლიტერატურასთან, რომელიც ამ კურსების შესასწავლადაა გამოყენებული. დამსაქმებლებმა ძირითადი აქცენტები გააკეთეს იმაზე, რომ მათ სურთ ჩრდილო კავკასიელებთან კარგი მომლაპარაკებელი მოხელეები, საზღვრების ისტორიისა და სასაზღვრო პოლიტიკის კარგი მცოდნეები, კარგი კონფლიქტოლოგები, რომლებსაც სწორი ხედვა აქვთ კონფლიქტის მოგვარებისა და გადაჭრის კუთხით, სახალხო დიპლომატიის წარმოების კუთხით. ყოველივე ზემოთქმულმა კომისიის წევრებში გააჩინა კითხვა, რამდენად შეძლებს ეს პროგრამა აღნიშნული მოლოდინების გამართლებას დასაქმების ბაზარზე, მით უფრო რომ კარგი მომლაპარაკებლები ვერ გამოვლენ სტუდენტები, თუკი მოლაპარაკების ხეოლვნებას, მოლაპარაკების სტრატეგიებსა და ფორმებს თეორიულ დონეზეც კი არ იცნობენ,რადგან მისი სწავლება სამაგისტრო პროგრამაში საერთოდ არაა გათვალისწინებული. მაშინ დამსაქმებლების ინტერესის გათვალისიწინებით სამაგისტრო პროგრამაში მოლაპარაკების სტრატეგიები და უნარებიც აუცილებაბად უნდა ჩაჯდეს პროგრამის ნაწილად, რათა კუსრდამთავრებულებმა კარგად შეძლონ მოლაპარაკებების წარმართვა თავის კავკასიელ კოლეგებთან.<br>იმისთვის, რომ პროგრამა განვითარდეს და კურსდამთავრებულები კონკურენტუნარიანები იყვნენ დასაქმების ბაზარზე, საჭიროა საერთაშორისო ჩართულობის გაღრმავება იმ უნივერსიტეტებთან, რომლებსაც კავკასიის კვლევის კუთხით კარგი გამოცდილება აქვთ და შესანიშნავი სკოლები და კვლევითი ცენტრები აქვთ კავკასიათმცოდნეობაში. ასეთი უნივერსიტეტები არსებობენ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ( მაგალითად იენის უნვიერსიტეტი- გერმანია, მალმოს უნივერსიტეტი-შვედეთი, ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი-ბელგია).<br>კითხვას აჩენს, ურთიერთობა ისეთ უნივერსიტეტებთან, როგორიცაა ალფრედ ნობელის უნივერსიტეტი დნეპროპეტროვსკში ან დონეცკის ნაციონალური უნივერსიტეტი, რამდენად წაადგება კავკასიისმცოდნეობის დარგის განვითარებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის ჩართვა-გაღრმავებას. არც ერთი ეს უნივერისტეტი არ არის ცნობილი კავკასიური კვლევებით. მაშინ როცა ჩამონათვალში არც ერთი კავკასიის რეგიონის უნივერსიტეტი არ ფიგურირებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასება<br>○ შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან<br>○ შეხვედრა დამსაქმებლებთან და მათთან ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br>• პროგრამის მიზნების მოყვანა სრულ შესაბამისობაში დამსაქმებლების მოლოდინებთან<br>• მოალაპრაკების ფორმებისა და სტრატეგიების კურსის ჩართვა კურიკულუმში<br>• კავკასიისმცოდნეობაზე ორიენტირებულ უნივერსიტეტებთან თანამშრობლობა. მათ შორის ჩრდილო კავკასიისა და სამხრეთ კავკასიის უნვიერსიტეტებთან ჩართულობა და კონტაქტები |

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

1.5 პროგრამისსწავლისშედეგებისგანსაზღვრისადაპროგრამისგანვითარებისპროცესშიდაინტერესებულიმხარეების (დამსაქმებლები, აკადემიურიპერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობისმექანიზმიშემუშავებულიადახორციელდება

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**

სამაგისტრო რპოგრამის პროგრამის თვიტშეფასებაში აღნიშნულია, რომ სწავლისშედეგებისგანსაზღვრასა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერსებულიმხარეების მონაწილეობის მექანიზმი სტუ-ში შემუშავებულია და ხორციელდება. პროგრამის შემუშავებაში აკადემიურ პერსონალთან ერთად მონაწილეობა მიიღო კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითმა ცენტრმა, პოტენციურმადამსაქმებლებმა,დარგშიპრაქტიკულიგამოცდილებისმქონესპეციალისტებმა სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან, რომელთამოსაზრებებიდარეკომენდაციებიგათვალისწინებული იქნა. თუმცა პრაქტიკაში დამსაქმებლებთან ჩატარებული ინტერვიუს მერე, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სამაგისტრო პროგრამა შინაარსი სრულად არ მოდის შესაბამისობაში დამსაქმებლების მოლოდინებთან და კარგად არ ჩანს რაში, აისახა დამსაქმებლების მონაწილეობა პროგრამის შემუშავებაში, თუკი ისინი ასე აქტიურად თანამშრომლობდნენ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასება
- შეხვედრა მამუკა არეშიძესთან, უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნილი რეგიონალური კვლევების

| |
|---|
| ცენტრის ხელმძღვანელთან<br><br>შეხვედრა დამსაქმებლებთანკონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი (დირექტორი ნინო ციხისთავი);კავკასიური სახლი (დირექტორი გიორგი კანაშვილი); პარლამენტის მიგრაციისა და კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის კომიტეტი (თავმჯდომარე ზვიად კვაჭანტირაძე); საქართველოს გეოსტრატეგიული და ევროატლანტიკური კვლევების ინსტირუტი (დირექტორი ვახტანგ მაისაია). კავკასიოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტი (დირექტორი ცირა ბარამიძე);რეგიონალური კვლევების ცენტრი(დირექტორი მამუკა არეშიძე). |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| საგანმანათლებლოპროგრამისმიზა | | ნაწილობრივ | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ნი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა | | შესაბამისობაშია | |

## 2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა

| 2.1 პროგრამაზემიღებისწინაპირობებიგამჭვირვალეადაუზრუნველყოფსშესაბამისიცოდნის, უნარებისადაღირებულებებისმქონეპირთაპროგრამაშიჩართვას, რაცემსახურებასტუდენტისმიერსწავლისშედეგებისმიღწევას |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები გამჭირვალე და ნათელია. მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული ტესტირება) ტესტის საკითხები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე (სწავლების დეპარტამენტი: http://www.gtu.ge/Study-Dep/p)გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. თუმცა ბუნოდვანებას იწვევს სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების პირობები. დაშვების ერთერთი წინაპირობააუცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს B2 დონეზე ფლობის დადასტურება ბაკალავრიატში სწავლის დროს უცხოური ენის ცოდნაში მიღებული აკადემიური მოსწრების შედეგებით ან სათანადო ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო აღიარების სერთიფიკატით.<br>როგორც ამ ტექსტის შინაარსიდან ჩანს, სტუდენტს ევალება ზემოთ მითითებულ ერთერთი უცხო ენის ცოდნა, მაშინ როგორ უნდა მოახერხოს სტუდენტმა რუსულ ენოვანი ლიტერატურის გაცნობა თუ მან რუსული არ ჩააბარა და ჩააბარა ფრანგული ან გერმანული? ან თუ ჩააბარა ინგლისური, როგორ დაძლევს რუსულ ენოვან ლიტერატურას და ა.შ. ვფქირობთ ეს ნაწილი მეტ დახვეწასა და სიცხადეს საჭიროებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასება<br>○ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა<br>○ შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთნ |
| **რეკომენდაციები:**<br><br>სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში უცხო ენის ფლობასათან დაკავშირებით უფრო მეტი კონკრეტიკაა საჭირო რატომაა ამა თუ იმ უცხო ენის ცოდნა პროგრამისთვის აუცილებელი, მით უფრო რომ საკითხავი მასალა სილაბუსებში მეტწილად ქართულენოვანია ან რუსულ ენოვანია, ისიც რეკომენდირებული ლიტერატურის ჩამონათვალში და ამიტომ ნათალდ არ ჩანს გერმანულის, ინგლისურის, და ფრანგული ენების ცონდა რაში ან სად ადგება სტუდენტს. |

| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| --- |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

| 2.2 პროგრამისსხვადასხვაკომპონენტშიგამოყენებულისწავლებისმეთოდებისერთობლიობაუზრუნველყოფსპროგრამითგათვალისწინებულიშედეგებისმიღწევას |
| --- |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სწავლების მეთოდები ძირითადად ემთხვევა მიღებულ სტანდარტებს. თუმცა თვალში საცემია საათების გადანაწილებისა და სწავლების მეთოდების „ შაბლონიზაცია“ - ერთ თარგზე ჩამოსხმა. ეს გარემოებაგასაგებია, რადგან მიღებულ სტანდარტებს ყველა სილაბუსი უნდა პასუხობდეს, თუმცა ზოგიერთ კურსს თავისი სპეციფიკა აქვს და განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს. სამაგისტრო პროგრამაში საათების გადანაწილების თვალსაზრისით, ყველა საგანში პროფესორის ინეტერაქცია სტუდენტთან ითვალისწინებს 30 საათს და საკმაოდ დიდი დრო 87 საათი სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობაზეა გათვლილი იმისდამიუხედავად ესა თუ ის კურსი ნამდვილად მოითხოვს თუ არა საათების ამდაგვარ გადანაწილებას. ზოგიერთ კურსს შესაძლებელია სჭირდებოდეს პროფესორის უფრო მეტი მუშაობა სტუდენტთან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასება<br>○ სილაბუსები<br>○ შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან |
| **რეკომენდაციები:**<br><br>უფრო რეალისტური გახდეს საათობრივი დატვირთის გადანაწილებისა და სტუდენტის დმოუკიდებლად მუშაობის სქემა და ერთ სტანდარტულ შაბლონს არ მიყვებოდეს. |

| |
|---|
| ვფიქრობთ 87 საათი სტუდენტის დამოუკიდბელი მუშაობისთვის ძალიან ბევრია, თან სტუდენტს ზოგერთი საგნის ათვისებისთვის შესაძლოა პროფესორთან კონტაქტის უფრო მეტი დრო სჭირდებოდეს |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>სწავლების მეთოდები უნდა იყოს ინდივიდუალურად მორგებული კურსებს, ამ სკურსის სწავლის შედეგებიდან გამომდინარე. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

| |
|---|
| 2.3 პროგრამაშიშემავალიკომპონენტებისთანმიმდევრობადაშემდგომკომპონენტზედაშვებისწინაპირობებილოგიკურია |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და კრედიტების მოცულობა უზრუნველყოფს შემდგომ კომპონენტზე დაშვებისათვის აუცილებელი ცოდნის მიღებას, ამ კომპონენტებით დასახულიმიზნებისადასწავლის შედეგების მიღწევას და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობების ლოგიკურობას. საბოლოო ჯამში ის ორიენტირებულია აუცილებელი ცოდნის მიღებასა და ზოგადი უნარების გამომუშავებაზე. აღნიშნულის უზრუნველყოფა ხდება პროგრამით გათვალისწინებული, სხვადასხვა კომპონენტების თანმიმდევრობისა და სინთეზის საფუძველზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასება<br>○ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა |

| |
|---|
| |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| შეფასება<br><br>☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

| |
|---|
| 2.4 სტუდენტისშეფასებისმეთოდებისაგანმანათლებლოპროგრამისთითოეულკომპონენტშიუზრუნველყოფსამავეკომპონენტითგანსაზღვრულისწავლისშედეგებისმიღწევას, რაცდასტურდებაშეფასებისშედეგებით |
| სტუდენტისშეფასებისმეთოდები პროგრამის თითოეულ კომპონენტშიუზრუნველყოფსამავე კომპონენტით განსაზღვრულისწავლისშედეგებისმიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით.<br>სტუდენტთა შეფასება ხორციელდება ECTS შესაბამისად, 100 ქულიანი სისტემით.<br>შეფასებისსისტემაუშვებს:<br>ხუთი სახის დადებით შეფასებას:<br>• (A)(ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;<br>• (B)ძალიანკარგი – მაქსიმალურიშეფასების 81-90 ქულა;<br>• (C)კარგი – მაქსიმალურიშეფასების 71-80 ქულა;<br>• (D)დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალურიშეფასების 61-70 ქულა;<br>• (E)საკმარისი – მაქსიმალურიშეფასების 51-60 ქულა.<br>ორი სახის უარყოფით შეფასებას:<br>○ (FX)ვერჩააბარა – მაქსიმალურიშეფასების 41-50 ქულა, რაცნიშნავს, რომ სტუდენტსჩასაბარებლადმეტიმუშაობასჭირდებადაეძლევადამოუკიდებელი მუშაობითდამატებითგამოცდაზეერთხელგასვლისუფლება |

- F) ჩაიჭრა – მაქსიმალურიშეფასების 40 ქულადანაკლები, რაცნიშნავს, რომსტუდენტისმიერჩატარებულისამუშაოარარისსაკმარისიდამასსაგანი ახლიდანაქვსშესასწავლი.

თუმცა ზოგიერთ საგანში შეფასების სისტემა დასახვეწია და მოდიფიკაციას საჭიროებს საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე. ასეთი საგნის მაგალითია პოლემიკური ოსტატობა, სადაც შეფასების ხვედრითი წილი მოდის წერით კომპონენზე ;, ღია კითხვებიანი ტესტი; დახურულ კითხვებიანი ტესტი; საშინაო დავალება; ხოლო შეფასება ვერბალურ ნაწილში საერთოდ არ ფიგურირებს, არადა პოლემიკა უპირველს ყოვლისა საჯარო ვერბალური ურთიერთობების ფორმაა, როგორც ეს საგნის სილაბუსშიცაა მითითებლი.
ამიტომ საჭიროა შეფასების ნაწილში მარტო ის კი არ ჩანდეს, თუ როგორია ქულების გადანაწილება, არამედ ისიც, თუ რა სახის დავალებებში იწერება ეს ქულები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასება
- სილაბუსები

**რეკომენდაციები:**

საჭიროა შეფასების მეთოდებში მარტო ის კი არ ჩანდეს, თუ როგორია ქულების გადანაწილება, არამედ ისიც, თუ რა სახის დავალებებში იწერება ეს ქულები.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.5 სტუდენტისცოდნისშეფასებისასგამოიყენებაგამჭვირვალეკრიტერიუმები, რაცუზრუნველყოფსსტუდენტისინფორმირებულობასმიღწეულიშედეგების, ნაკლოვანებებისადაგაუმჯობესებისგზებისშესახებ

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი |
|---|
| სტუდენტებს საშუალება აქვთ ინფორმაცია ცოდნის შეფასების შესახებ მიიღონ კონკრეტული სასწავლო კურსის პროგრამიდან (სილაბუსიდან), საგნის პედაგოგისაგან ან პროგრამის ხელმძღვანელისგან. მიღებული შეფასებების გაცნობის საშუალება სტუდენტებს აქვთსტუ-ს ვებ-გვერდზე არსებულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემის საშუალებით. შეფასების კრიტერიუმების წინასწარი ცოდნა, აგრეთვე ინფორმაცია შეფასებების შესახებ მათ საშუალებას მისცემთ გაითვალისწინონ საკუთარი ხარვეზები და იზრუნონ მათ გამოსწორებაზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასება<br>○ გასაუბრება სტუდენტებთან |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>**☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია | არ არის შესაბამისობაში |
|---|---|---|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| | | მოთხოვნებთან | მოთხოვნებთან |
| სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა | | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | |

## 3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა

| 3.1 სტუდენტიიღებსთავისიპროფილისგანსაზღვრის, სასწავლოპროცესისდაგეგმვისადამიღწევებისგასაუმჯობესებლადაუცილებელინფორმაციას, კონსულტაციასადადახმარებას |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუებმა ცხადყო, რომ სტუდენტი იღებს მისთვის საჭირო ინფორმაციასა და დახმარებას.<br>სტუდენტებს აქვთ კონსულტაციები როგორც ლექტორებთან, ასევე კვლევითი კომპონენტის ხელმძღვანელთან, ისინი იღებენ საჭირო ინფორმაციას როგორც ელექტრონული სახით, ასევე უშუალო კომუნიკაციით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ინტერვიუ სტუდენტებთან<br>○ ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან<br>○ ინტერვიუ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან<br>○ ინტერვიუ ადმინისტრაციულ პერსონალთან |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება** |

☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 3.2 დაწესებულებისაკადემიურიპერსონალისდატვირთვისსქემაშიგათვალისწინებულიასტუდენტთანინდივიდუალურიმუშაობა

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**

საგანამანათლებლო პროგრამის კურსების სილაბუსებში არ არის მითითებული სტუდენტებთან ინდივიდუალური კონსულტაციის დრო და ადგილი. თუმცა, როგორც ადმინისტრაციასთან ინტერვიუმ აჩვენა, აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა და კონსულტაციები.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ აკადემიურ პერსონალს გამოყოფილი აქვს საკონსულტაციო საათები, რომელთა ანაზღაურება ხდება ისევე, როგორც სალექციო საათების. ადმინისტრაციის განცხადებით ეს საათები ძირითადად გამოიყენება გამოცდებისა თუ ტესტირებების წინ.

სტუდენტებთან ინდივიდუალური კონსულტაციები ასევე გათვალისწინებულია კვლევითი კომპონენტის განხორციელებისას. როგორც სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა დაადასტურა, კონსულტაციებს აქვთ როგორც უშუალო, ასევე ელექტრონული სახე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინტერვიუ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან
- ინტერვიუ სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან

**რეკომენდაციები:**

სტუდენტების ინფორმირების მიზნით, სასწავლო პროგრამის თითოეულ სილაბუსში უნდა იყოს მითითებული ლექტორთან შეხვედრის / ინდივიდუალური მუშაობისთვის გამოყოფილი კონკრეტული დრო.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

| |
|---|
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

| |
|---|
| 3.3 დაწესებულებახელსუწყობსსტუდენტისჩართვასკვლევითიპროექტებისგანხორციელებაში, პრაქტიკულიუნარებისგანმავითარებელკომპონენტებსადაკურიკულუმისაგანდამოუკიდებელიინიციატივებისგანხორციელებაში |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**<br><br>რადგან პროგრამა სამაგისტროა, მასში მოცემულიასავალდებულო კვლევითი კომპონენტი, რომელსაც ჯამში ეთმობა 45 კრედიტი (5 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომის პროექტი/პროსპექტუსი, თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი – 10 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი– 30 კრედიტი). ამის მიუხედავად, პროგრამაში არ არის გათვალისწინებული კვლევის მეთოდოლოგიის სწავლება, რაც ბადებს გონივრულ ეჭვს - რამდენად შეძლებენ სტუდენტები კვლევითი მეთოდოლოგიის ცოდნის გარეშე წარმატებული კვლევის განხორციელებას და/ან კვლევით პროექტებში ჩართვას.<br><br>პროგრამაში წარმოდგენილია სავალდებულო 5 კრედიტიანი პრაქტიკის კურსი, რომელიც მიმართულიასტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებაზე.<br><br>ვინაიდან პროგრამა ჯერ არ ამოქმედებულა და არ ჰყავს სტუდენტები, ინტერვიუს მონაწილე სტუდენტების/კურსდამთავრებულების უმეტესი ნაწილი იყომასკომუნიკაციისსაგანმანათლებლო პროგრამიდან. მათი თქმით, უნივერსიტეტმა მათ თეორიულ ცოდნასთან ერთად მისცასაჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევები.<br><br>უნივერსიტეტში განთავსებულია სტუდენტური ტელევიზია, რომლის დათვალიერების |

საშუალება მოგვეცა ვიზიტის დროს. მართალია, სტუდენტური ტელევიზია მოცემული პროგრამის სტუდენტების უნარების გასავითარებლად არ არის განსაზღვრული (ის განკუთვნილია მასკომუნიკაციის მიმართულების სტუდენტებისთვის), მაგრამ ჩანს საუნივერსიტეტო პოლიტიკა სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისა და კურიკულუმის გარე აქტივობების მიმართ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა
- სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასება
- ინტერვიუ სტუდენტებთან

**რეკომენდაციები:**პროგრამაში სავალდებულო საგნად სოციალური კვლევის მეთოდების შეტანა

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

3.4 დაწესებულებაორიენტირებულიასწავლების, სამეცნიერომუშაობისადაკურსდამთავრებულთადასაქმებულობისინტერნაციონალიზაციაზე

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი |
| --- |
| პროგრამის კურსების სილაბუსებში წარმოდგენილ ძირითად ლიტერატურაში თითქმის არ გვხვდება  უცხოური ლიტერატურა, თუმცა, პროგრამის კურიკულუმი 4 უცხო ენის სწავლების საშუალებას იძლევა. სტუდენტებთან შეხვედრისას ასევე გაირკვა, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ენების შემსწავლელი კურსები, სადაც მათ სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ შეისწავლონ უცხო ენები.<br><br>უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული მემორანდუმები სხვადასხვა უნივერსიტეტთან, თუმცა მოცემული პროგრამის მიზნებსთვის ზოგიერთი მათგანი არ არის შესაბამისი. საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაზრდისთვის უმჯობესი იქნებოდა კონტაქტების დამყარება იმ უნივერსიტეტებთან, რომელთანაც უკვე აქვს კავშირი და გაფორმებული მემორანდუმები სტუ-ში არსებულ რეგიონალური კვლევების ცენტრს.<br><br>ინტერვიუს მონაწილე სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისგან მხოლოდ ერთი იყო გაცვლითი პროგრამით საზღვარგარეთ, თუმცა, მათი განცხადებით, უნივერსიტეტი მუდმივად სთავაზობდასხვადასხვა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას და ისინი ყოველთვის ინფორმირებული არიან/იყვნენ მსგავს შესაძლებლობებზე, ინფორმაცია ქვეყნდება ვებ გვერდზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ როგორც სტუდენტებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, მათ საკუთარი ხარჯებით მოუწევდათ აღნიშნულ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა, სწორედ ეს იყო მათი მხრიდან აღნიშნულ პროგრამებში მონაწილეობაზე უარის თქმის მიზეზი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>სამაგისტრო პროგრამის კურსების სილაბუსები<br>სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასება<br>ინტერვიუ სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან |
| რეკომენდაციები:<br><br>პროგრამის კურსებში უცხოენოვანი ლიტერატურის დამატება<br>საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდა |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |

| |
|---|
| |
| **შეფასება**<br><br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა | | ნაწილობრივ შესაბამისობაშია | |

## 4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა

| 4.1 დაწესებულებისინფრასტრუქტურადატექნიკურიაღჭურვილობაუზრუნველყოფსსაგანმანათლებლოპროგრამითგათვალისწინებულისწავლისშედეგებისმიღწევას |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ პროგრამის თვითშეფასების ანალიზზე დაყრდნობით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციის, ფაკულტეტის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებამ საფუძველი მოგვცა ავღნიშნოთ, რომ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, სასწავლო აუდიტორიები, ტექნიკური აღჭურვილობა და ინტერნეტი, ბიბლიოთეკა აკმაყოფილებს პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას.<br>აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა გამდიდრდეს ფაკულტეტის ბიბლიოთეკა თანამედროვე ქართულენოვანი და უცხოენოვანი სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ლიტერატურით. უნივერსიტეტი გამოთქვამს მზაობას შეიძინოს საჭირო ლიტერატურა და ამისათვის აუცილებელია პროგრამის მონაწილე აკადემიური პერსონალის მეტი აქტიურობა საჭირო ლიტერატურის მოთხოვნის მხრივ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ წარმოდგენილი დოკუმენტაცია<br>○ თვითშეფასების ანგარიში |

- ფაკულტეტის ინფრასტრუქტურის დათვალიერება
- ვიზიტი ბიბლიოთეკაში

ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტისა და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან

**რეკომენდაციები**

თანამედროვე სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ლიტერატურით ფაკულტეტის ბიბლიოთეკის ფონდის შევსება და ასახვა სილაბუსებში.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სტუ-სთან არსებული რეგიონალური კვლევების ცენტრის რესურსების აქტიური ჩართულობა პროგრამაში

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.2 კომპონენტისგანმახორციელებელიპირითავადფლობსშეთავაზებულიკომპონენტისსწავლისშედეგებისგამომუშავებისათვისაუცილებელკომპეტენციებს, რაცდგინდება: აკადემიურიპერსონალისშემთხვევაში - ბოლო 10 წლისგანმავლობაშიშესრულებულისამეცნიერონაშრომით (სახელოვნებომიმართულებებში - შემოქმედებითიპროექტით), რომელიცადასტურებსშესაბამისდარგშიმისკომპეტენტურობას; ხოლომოწვეულიპერსონალისანმასწავლებისშემთხვევაში - შეიძლებადადასტურდესპრაქტიკულიგამოცდილებით

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**

თვითშეფასების ანგარიშისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის (აკადემიური პერსონალის მონაცემები), აკადემიური პერსონალის მიერ ბოლო ათი წლის განმავლობაში ქართულ და უცხოურ

გამოცემებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები ადასტურებს აკადემიური პერსონალის კომპეტენციებს სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- წარმოდგენილი დოკუმენტაცია
- ინტერვიუები ფაკულტეტისა და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებთან

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველი იქნებოდა შეხვედრა პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალის არა სამ, არამედ მეტ წარმომადგენელთან;

ასევე, პროგრამის რელევანტური პუბლიკაციების სიჭარბე როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ გამოცემებში

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.3 პროგრამისგანხორციელებახელშეწყობილიასათანადოკომპეტენციისმქონეადმინისტრაციული დადამხმარეპერსონალით

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან შეხვედრამ და ინტერვიუებმა ცხადყო, რომ უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს პროგრამის განხორციელებას და მისი რესურსები ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის სახით თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში დაეხმარებიან ფაკულტეტსა და პროგრამის უშუალო განმახორციებლებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- წარმოდგენილი დოკუმენტაცია
- ინტერვიუ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

**☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.4 სასწავლომასალადაფუძნებულიამიმართულების/დარგისაქტუალურმიღწევებზედაუზრუნველ ყოფსპროგრამისსწავლისშედეგებისმიღწევას

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**

სილაბუსებში წარმოდგენილი ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია სტუ-ს ბიბლიოთეკებში. სტუდენტს საშუალება აქვს ისარგებლოს ბიბლიოთეკის ვებ გვერდზე არსებული ელექტრონული კატალოგით და სახელმძღვანელოებით. ასევე სამეცნიერო ბაზებით და საქართველოს ბიბლიოთეკების გაერთიანებული კატალოგით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსებში

| |
|---|
| წარმოდგენილი ლიტერატურა საჭიროებს განახლებას და ჩანაცვლებას. საჭიროა თანამედროვე დასავლეთევროპუ;ლი ლიტერატურის გამოყენება სასწავლო სილაბუსებში |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ სილაბუსები<br>○ სტუ-ს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, კატალოგები<br>○ სტუ-ს ბიბლიოთეკა http://www.gtu.ge/Library ელექტრონული კატალოგები |
| **რეკომენდაციები:**<br>მიზანშეწონილია თანამედროვე ქართულ და უცხოენოვანი სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ლიტერატურის ასახვა სილაბუსებში |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>**☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

| |
|---|
| 4.5 არსებობსპროგრამისფინანსურიუზრუნველყოფა |

| |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის დაფინანსება გათვალისწინებულია სტუ-ს სენატის მიერ დამტკიცებულ ფაკულტეტის ბიუჯეტით. თუმცა არ არის ინდივიდუალური ბიუჯეტი კონკრეტულად აღნიშნულ პროგრამაზე, რაც დაადასტურებდა მის მდგრადობას და გათვალისწინებული იქნებოდა რისკები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ინტერვიუ ადმინისტრაციასთან<br>○ სტუ-ს ბიუჯეტი |
| **რეკომენდაციები:**საჭიროა შემუშავდეს ამ კონკრეტული პროგრამის ბიუჯეტი შესაძლო რისკების გათვალისწინებით. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა | | ნაწილობრივ შესაბამისობაშია | |

## 5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები

| 5.1 მოქმედებსდასაჯაროდხელმისაწვდომიახარისხისუზრუნველყოფისსისტემა, რომელიცითვალისწინებს “დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სტუ-ში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის მუშაობაც განსაზღვრულია დებულებით. ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გარდა, უნივერსიტეტში არსებობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები.<br><br>ხარისხის უზრუნველყოფა ითვალისწინებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ციკლს. პროგრამის დაგემვისას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიამოწმებს პროგრამის შესაბამისობას სტანდარტებთან, ასევე არსებულ რესურსებთან. სტუდენტური გამოკითხვები გამოიყენება პროგრამის შეფასებისა და სრულყოფისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თქმით, მიმდინარეობს სტუდენტური გამოკითხვების დახვეწა/სრულყოფა (ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა).<br><br>პროგრამის თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოდგენილი იყო swot ანალიზი, რომელშიც საკმაოდ რეალურად იყო ასახული პროგრამის როგორც ძლიერი, ასევე სუსტი მხარეები.<br><br>ვინაიდან პროგრამა ახალია და ჯერ არ ამოქმედებულა, მას არ გაუვლია ხარისხის უზრუნველყოფის ყველა საფეხური, თუმცა, რადგან სტუ-ში დანერგილია და მოქმედებს შესაბამისი პრაქტიკა, სავარაუდოა, რომ წარმოდგენილი პროგრამა გაივლის შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელ პროცესებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასება<br>○ ინტერვიუ სტუდენტებთან<br>○ ინტერვიუ ადმინისტრაციულ პერსონალთან |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

| |
|---|
| |
| **შეფასება**<br><br>☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

| |
|---|
| 5.2 შიდადაგარეშეფასებაგამოყენებულიასაგანმანათლებლოპროგრამისსწავლისშედეგებისმიღწევისგასაუმჯობესებლად |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების მიხედვით, პროგრამა განიხილა საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს აკადემიურმა პერსონალმა. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა და ფაკულტეტის საბჭომ შესათანხმებლად გადასცა სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რის შემდგომ გადაეცა აკადემიურ საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად. ეს ასევე დადასტურდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს.<br><br>ხარისხის უზრუნველყოფა ითვალისწინებს გარე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას პროგრამის შემუშავებასა და შემდგომ სრულყოფაში.<br><br>პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული იყო გარე დაინტერესებული მხარეებიც, მათ შორის პოტენციური დამსაქმებლები, რაც დასტურდება ინტერვიუს სესიებით.<br>გარე შეფასება ასევე განხორციელდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებისა და შეფასებების ანალიზის საფუძველზე, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების გზით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასება<br>○ ინტერვიუ ადმინისტრაციულ პერსონალთან<br>○ ინტერვიუ პოტენციურ დამსაქმებლებთან<br>○ სტუ ხარისხის უზრუნველყოფის დებულება |
| **რეკომენდაციები:** |

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>**☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები | **შესაბამისობაშია** | | |

## თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სამაგისტრო პროგრამა კავკასიამცოდნეობა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 39

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა | | ნაწილობრივ | |
| 2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა | | ნაწილობრივ | |
| 3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა | | ნაწილობრივ | |
| 4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა | | ნაწილობრივ | |
| 5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები | შესაბამისობაშია | | |
| საბოლოო შეფასება | | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სამაგისტრო პროგრამა კავკასიამცოდნეობა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 39

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა | | ნაწილობრივ | |
| 2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა | | ნაწილობრივ | |
| 3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა | | ნაწილობრივ | |
| 4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა | | ნაწილობრივ | |
| 5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები | შესაბამისობაშია | | |
| საბოლოო შეფასება | | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ფიქრია ასანიშვილი



თინათინ გაბრიჩიძე

